

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №196

2017 წლის 13 აპრილი

ქ. თბილისი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჯიხაშკარში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისათვის – „ჭაქვინჯის ციხისათვის“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ მუხლი 1

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჯიხაშკარში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს – „ჭაქვინჯის ციხეს“ განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

